საქმე №დს-შ/15-13 **29 ნოემბერი, 2013 წელი**

ქ. თბილისი

მიღების ადგილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

მაია ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე)
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი,
ნუგზარ სხირტლაძე

სხდომის მდივანი - ქეთევან ბერეკაშვილი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ა. კ-ე

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენელი - თ. ხ-ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით, მ. ფ-ას, თ. ფ-სა და მ. ფ-ა-კ-ას საჩივრის საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების 5.2. მუხლის შესაბამისად, ადვოკატ ა. კ-ის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორთა მითითებით, მათ სამოქალაქო საქმეზე ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით ადვოკატ ა. კ-ეს მიმართეს. საჩივრის ავტორ მ. ფ-სა და ადვოკატს შორის 2010 წლის 16 ივნისს დაიდო იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება და ჰონორარის სახით განისაზღვრა 2000 ლარი. ადვოკატმა 500 ლარი მაშინვე მიიღო, ხოლო დანარჩენი თანხა განაწილვადებით უნდა გადახდილიყო. რწმუნებულების თანახმად, ადვოკატი ა. კ-ე მ. ფ-ს შვილების ინტერესებსაც წარმოადგენდა. საჩივრის ავტორთა მითითებით, 2010 წლის დეკემბრამდე ადვოკატს მხოლოდ ტელეფონის საშუალებით უკავშირდებოდნენ და ეკითხებოდნენ საქმის მიდინარეობის თაობაზე, რა დროსაც მიიღეს სარჩელი, რომლითაც თ. ფ-ა ითხოვდა განქორწინებას. აღნიშნული სარჩელი მ. ფ-ამ მიუტანა ადვოკატს, რომელიც შეპირდა, რომ ყველაფერს თავად მოაგვარებდა. 2010 წლის 14 დეკემბერს მ. ფ-ს დაურეკა ადვოკატმა და მოსთხოვა ჰონორარის დარჩენილი თანხის გადახდა, ამასთან განუცხადა, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდებოდა. განმცხადებელმა იმავე საღამოს მიუტანა ადვოკატს 500 ლარი. 2010 წლის 29 დეკემბერს საქალაქო სასამართლოში შედგა სხდომა, რომელზეც მოსამართლემ მ. ფ-ს განუმარტა, რომ მის ადვოკატს შეგებებული სარჩელი ბინიდან წილის გამოყოფის მოთხოვნით არ დაუყენებია. სხდომის შემდეგ ა. კ-მ კლიენტს განუცხადა, რომ სააპელაციო ინსტანციაში თავად მოიგებდა საქმეს. მ. ფ-ას განმარტებით, 10 დღის გასვლის შემდეგ, ადვოკატმა კვლავ დაურეკა მას და მოსთხოვა 75 ლარის დამატება სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად. 27 იანვარს კლიენტებმა ადვოკატს მიუტანეს 800 ლარი.

მ. ფ-ს განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში 2011 წლის 4 მარტს დაინიშნა სხდომა. სხდომამდე ერთი დღით ადრე ადვოკატმა მას მიუტანა „შესაგებლის შესაგებელი“ და სთხოვა დაეზეპირებინა. მოსამართლემ ადვოკატი ა. კ-ე პროცესზე არ დაუშვა იმ მოტივით, რომ მას არ აღმოაჩნდა სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება. მოსამართლემ აპელანტებს პროცესზე განუცხადა, რომ მათ მოთხოვნა არ ჰქონდათ დაყენებული და სხვა ადვოკატის მოძებნა ურჩია, რადგან მოთხოვნა სწორად დაეყენებინათ, რის გამოც სხდომა ორი კვირით გადაიდო. საჩივრის ავტორთა განმარტებით, ა. კ-თვის იურიდიული დახმარების თხოვნით მიმართვის დროს სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოების ინტერესი არ ჰქონდათ. მათ მოთხოვნას წარმოადგენდა ბინიდან წილის გამოყოფა. ადვოკატს მათთან საუბრისას არ უთქვამს, რომ მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაცია ჰქონდა.

ადვოკატ ა. კ-ს განმარტებით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების დამცველთა კავშირის „გ-ს“ წესდების საფუძველზე, მას 2000 წლიდან ჰქონდა უფლება, ყველა ინსტანციის სასამართლოს საქმისწარმოებაში მიეღო მონაწილეობა. 2010 წლის 1 ნოემბერს მან კავშირი თავიდან დაარეგისტრირა იუსტიციის სამინისტროში და სააპელაციო სასამართლოში წარსდგა კავშირის მოწმობით.

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის დასკვნით, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატი ა. კ-ე განმცხადებელს საადვოკატო მომსახურებას უწევდა სამოქალაქო საქმეზე, ხოლო ასოციაციის მიერ საქმიანობის უფლებამოსილება მინიჭებული

ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით ადვოკატი ა. კ-ე ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის” ნორმებისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევის გამო, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატი ა. კ-ე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა ერთიან სიაში ირიცხებოდა, როგორც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი. იგი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ სხდომაზე არ დაუშვა მხარის წარმომადგენლის სტატუსით, რადგან არ იყო სპეციალიზებული სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. ეთიკის კომისიამ სადავოდ მიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ადვოკატი ა. კ-ე მ. ფ-ს ინტერესებს წარმოადგენდა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ვინაიდან საჩივრის ავტორებსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ 2010 წლის 16 ივნისს დადებულ ხელშეკრულებაში - „დაცვა შეთანხმებით“, ცალსახადაა მითითებული, რომ ადვოკატ ა. კ-ს უნდა წარმოედგინა მ. ფ-ს ინტერესები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და პირობებით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი წინადადების თანახმად, „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა (კლიენტი). მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა არა მარტო რჩევა მისცა მ. ფ-ს, არამედ სამოქალაქო საქმეზე მოუმზადა შესაგებელი, რასაც თავადვე მოაწერა ხელი. ადვოკატმა კლიენტს ასევე სააპელაციო საჩივარი შეუდგინა, მასზეც თავად მოაწერა ხელი და სააპელაციო სასამართლოსთან აწარმოებდა კორესპოდენციას, როგორც მ. ფ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი. ამდენად, ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ა. კ-მ კლიენტის ინტერესები წარმოადგინა სამოქალაქო სამართლის საქმეზე.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატმა ა. კ-მ კლიენტს - მ. ფ-ს არ განუმარტა, რომ იგი იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი და ამ საფუძვლით არ შეეძლო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობა. აღნიშნულის დასადასტურებლად არსებობს საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, ადვოკატ ა. კ-ს მიერ მ. ფ-თვის 2011 წლის 4 მარტის სხდომისათვის „შესაგებლის შესაგებლის“ ზეპირად დასასწავლად გადაცემა და 21 მარტის სასამართლო სხდომაზე ადვოკატის საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების

მიზნით გამოცხადება, რასაც მოჰყვა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის განმარტება, რომლის თანახმად, ადვოკატი ა. კ-ე პროცესზე არ დაიშვებოდა, როგორც მ. ფ-ს ადვოკატი, რადგან ეს უკანასკნელი არ ირიცხებოდა ადვოკატთა ერთიან რეესტრში, როგორც საერთო ან სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი.

ეთიკის კომისიის განმარტებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში...“. ამდენად, ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, შესაბამისი გამოცდილება გააჩნია და სპეციალიზებულია.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. კ-ს მიერ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევა გამოიხატა კლიენტის - მ. ფ-ს სამართლებრივი ინტერესების არაკვალიფიციურად დაცვაში. კერძოდ, სასამართლოში იხილებოდა მ. ფ-ს მეუღლის სარჩელი განქორწინების მოთხოვნით. მ. ფ-ა განქორწინებაზე თანახმა იყო, მაგრამ მის ინტერესს წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა. საქმის საქალაქო სასამართლოში წარმოებისას ადვოკატმა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დაცვით არ დააყენა მოთხოვნა, ვინაიდან შესაგებლის ფორმაში ჩაწერა შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, რის გამოც სასამართლომ შეფასება არ მისცა ამ მოთხოვნას, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოებისას სააპელაციო საჩივრის წარდგენის შემდეგ კლიენტი დარჩა დაუცველი, ვინაიდან ადვოკატი დაგვიანებით გამოცხადდა პროცესზე, მაგრამ არ დაუშვეს სამოქალაქო მომართულებით სპეციალიზაციის არქონის გამო. ამდენად, ადვოკატის მხრიდან დაირღვა „ადვოკატთა პროფერსიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი - კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, რითაც ზიანი მიადგა კლიენტის სამართლებრივ ინტერესს.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა ა. კ-მ, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე მიღებულ იქნა კანონდარღვევით, ვინაიდან ეთიკის კომისია იყო მიკერძოებული. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ უზენაესმა სასამართლომ კრიტიკულად უნდა შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მისი მონაწილეობაც უზრუნველყოს ობიექტურობის დადგენისათვის. ეთიკის კომისიამ მიჩნია, რომ ა. კ-ე გულგრილად მოეკიდა თავის მოვალეობას და უფლებამოსილი არ იყო ეხელმძღვანელა კავშირის - „გ-ს“ წესდებით, ვინაიდან იგი სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია, რადგან არღვევს კანონს, კერძოდ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11

მუხლის მე-8 პუნქტს და წესდებას და კანონს შორის კოლიზიის წარმოშობისას უპირატესი ძალა ენიჭება კანონს. ამდენად, წესდების ყველა შესაბამისი მუხლი ჩაითვლება ბათილად, როგორც კანონსაწინააღმდეგო და სამართლებრივ შედეგს ვერ წარმოშობს. რაც შეეხება კავშირის - „გ-ს“ წესდებას, რეგისტრირებულს სასამართლოში 2000 წელს და დადასტურებულს იუსტიციის სამინისტროში 2010 წლის ნოემბერში, მასში მითითებული ყველა უფლებამოსილება გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან და არ შეიძლება ეთიკის კომისიის წევრთა მოსაზრებები ამ თვალსაზრისით გასაზიარებელი იყოს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ ა. კ-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის 65.1 მუხლის (კანონის ანალოგია) შესაბამისად დადგენილია, რომ სადისციპლინო პალატა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის გათვალისწინებით. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეული არ არის „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, ასევე „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” დებულების ნორმები. დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ყოველმხრივ და ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. კ-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და „ადვოკატთა შესახებ” კანონის ნორმები, რის შესაბამისადაც, ადვოკატის ქმედებებს სრულიად მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და ადვოკატს კანონიერი და სამართლიანი სახდელი დაეკისრა. ამდენად, არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობა.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ადვოკატი ა. კ-ე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა ერთიან სიაში ირიცხებოდა, როგორც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი. იგი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ სხდომაზე არ დაუშვა მხარის წარმომადგენლის სტატუსით, რადგან არ იყო

სპეციალიზებული სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. 2010 წლის 16 ივნისს ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებულ ხელშეკრულებაში - „დაცვა შეთანხმებით“, ცალსახადაა მითითებული, რომ ადვოკატ ა. კ-ს უნდა წარმოედგინა მ. ფ-ს ინტერესები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და პირობებით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა არა მხოლოდ რჩევა მისცა მ. ფ-ს, არამედ მოუმზადა შესაგებელი სამოქალაქო საქმეზე, რასაც თავადვე მოაწერა ხელი. ადვოკატმა კლიენტს ასევე შეუდგინა სააპელაციო საჩივარი, მასზეც თავად მოაწერა ხელი და სააპელაციო სასამართლოსთან აწარმოებდა კორესპოდენციას, როგორც მ. ფ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი. ამდენად, ა. კ-მ კლიენტის ინტერესები წარმოადგინა სამოქალაქო სამართლის საქმეზე.

სადისციპლინო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. კ-მ უგულებელყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად, „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“. სადისციპლნო პალატა მიუთითებს, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევა იმ მიმართულებით, რომლითაც არ ყოფილა სპეციალიზირებული, არღვევს კლიენტის კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულებას. სადისციპლინო პალატა მხედველობაში იღებს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია საქმიანობის განხორციელების უფლებას აძლევს ადვოკატს კონკრეტულ დარგში, რაც გულისხმობს კლიენტის ინტერესების წარმოდგენას შესაბამისი მიმართულებით.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტზე, რომლის მიხედვით, ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. ამდენად, ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, შესაბამისი გამოცდილება გააჩნია და სპეციალიზებულია. ადვოკატისათვის აღნიშნულ მოთხოვნებს ადგენს მითითებული კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, რაც მიზნად ისახავს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არ დაიშვას არაკვალიფიციურ პირთა გაწევრიანება, მათთვის ადვოკატის სტატუსის მინიჭება და ამით პოტენციურ კლიენტთა ინტერესების დაზიანება.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ა. კ-ე სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი მ. ფ-ს ინტერესებს წარმოადგენდა საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოებისას მინდობილობისა და ხელშეკრულების საფუძველზე. ადვოკატი, როგორც მის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტებიდან დგინდება, საქმეს აწარმოებდა არა როგორც წარმომადგენელი, არამედ როგორც ადვოკატი. შესაგებელში შევსებულია ადვოკატისათვის დათმობილი ველი, სადაც მითითებულია ადვოკატის სიითი

ნომერი, ხოლო სააპელაციო საჩივარში სიითი ნომრის ნაცვლად მითითებულია ადამიანის უფლებათა და დავისუფლებების დამცველთა კავშირი „გ-ა“. ორივე საპროცესო დოკუმენტს ხელს აწერს მხოლოდ ა. კ-ე.

სადისციპლინო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ტესტირება და არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლებისა - ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე. ვინაიდან მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ანიჭებს მხოლოდ ადვოკატებს, ხოლო „ადვოკატთა შესახებ“ კანონი ადვოკატს უფლებას ანიჭებს დაიცვას მისი მარწმუნებლის ინტერესები მხოლოდ იმ სახის დავებში, რა სპეციალიზაციითაც მას ჩაბარებული აქვს ადვოკატთა ტესტირება. აქედან გამომდინარე, სადისციპლინო პალატამ მიიჩნია, რომ ა. კ-ე გულგრილად მოეკიდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, იხელმძღვანელა რა მხოლოდ ადამიანის უფლებათა და დავისუფლებების დამცველთა კავშირის „გ-ს“ წესდებით. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ა. კ-ე არის კავშირი „გ-ს“ თავმჯდომარე, მისი წესდება არის კონკრეტული ორგანიზაციის მიერ დადგენილი დებულებათა კრებული, რომლიც ადგენს ამ იურიდიული პირის სტრუქტურასა და მოქმედების წესს. აღნინულ იურიდიულ პირთან ხელშუკრულების დადებისას, წესდება ითვლება ხელშეკრულების ნაწილად. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, კი ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესს და აკრძალვებს. ამდენად, აღნიშნულ კავშირსა და „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტს შორის კოლიზიის წარმოშობისას, უპირატესი ძალა ენიჭება კანონს. შესაბამისად, წესდების კონკრეტული მუხლი, რომელიც ადვოკატს უფლებას ანიჭებს სპეციალიზაციის მიუხედავად მონაწილეობა მიიღოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ჩაითვლება ბათილად, როგორც კანონსაწინააღმდეგო და იგი სამართლებრივ შედეგს ვერ წარმოშობს.

სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს ეთიკის კომისიის განმარტებას, რომ ა. კ-ს მიერ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევა სამართლის იმ მიმართულებით საქმიანობისას, რომელშიც არ ჰქონდა ლიცენზია მინიჭებული, გამოიხატა ასევე კლიენტის - მ. ფ-ს სამართლებრივი ინტერესების არაკვალიფიციურად დაცვაში. კერძოდ, მ. ფ-ა განქორწინებაზე თანახმა იყო, მაგრამ მის ინტერესს წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა. საქმის საქალაქო სასამართლოში წარმოებისას, ადვოკატმა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დაცვით არ დააყენა მოთხოვნა, ვინაიდან შესაგებლის ფორმაში ჩაწერა შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, რის გამოც სასამართლომ შეფასება არ მისცა აღნიშნულ მოთხოვნას, ხოლო სააპელაციო სასამართლოში საქმისწარმოებისას კლინეტი დარჩა დაუცველი, რადგან ადვოკატი დაგვიანებით გამოცხადდა პროცესზე, მაგრამ გამოცხადების შემდეგაც სასამართლომ იგი არ დაუშვა წარმომადგენლად

სამოქალაქო მიმართულებით სპეციალიზაციის არქონის გამო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატის ქმედებების შედეგად კლიენტის საქმისწარმოება გაჭიანურდა, ვინაიდან 2009 წლის 16 ივნისიდან 2011 წლის 21 მარტამდე განხორციელებული საადვოკატო საქმიანობის შედეგად კლიენტისთვის შეუძლებელი გახდა მოთხოვნის დაყენება სასამართლოში, ასევე მას მიადგა მატერიალური ზიანი. კერძოდ, გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, ადვოკატს გადასცა სასამართლო ხარჯებისთვის გარკვეული თანხა, ხოლო გაწეულ მატერიალურ ხარჯს დაემატა ახალი ადვოკატისა და საქმის თავიდან წარმოებასთან დაკავშრებული სასამართლო ხარჯები.

სადისციპლინო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის მართებულობას და განმარტავს, რომ საქმის განმხილველი ორგანო დისციპლინური სახდელის შერჩევისას უნდა ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის შინაარსს და სიმძიმეს, შედეგებს, რომლებიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხსა და ადვოკატის პიროვნებას, საქმიან და მორალური რეპუტაციას, რაც სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ გათვალისწინებულ იქნა სრულიად სამართლიანად. ეთიკის კომისიამ სახდელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის ზიანი, რაც მიადგა კლიენტს, ასევე ზიანი, რაც ადვოკატმა ზემოაღნიშნული ქმედებით მიაყენა ადვოკატის პროფესიას. ამდენად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომების შესაბამისია.

ამდენად, სადისციპლინო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. შესაბამისად, საჩივრის ავტორის ა. კ-ს მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 70-ე მუხლით (კანონის ანალოგია) და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ა. კ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე	/მაია ვაჩაძე/
მოსამართლეები:	/ვასილ როინიშვილი/
	/ნუგზარ სხირტლაძე/